

ქეთევან გოჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულის როგორც მეორე/უცხო ენის გაკვეთილის დაბეზების ძირითადი პრინციპები

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია მეორე/უცხო ენის გაკვეთილის გეგმის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. წარმოდგენილია ის აქტივობები, რომლებიც ასახული უნდა იყოს მასწავლებლის მიერ შედგენილ გეგმაში. აქვე შემოთავაზებულია გაკვეთილის ვრცელი გეგმა, რომელიც შესაძლებელია ერთ-ერთ ნიმუშად გამოიყენონ პრაქტიკოსმა პედაგოგებმა.

როგორც თეორეტიკოსები, ისე პრაქტიკოსი მასწავლებლები თანხმდებიან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაკვეთილის გეგმის შედგენა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ცნობილია, რომ სწორად გაწერილი საგაკვეთილო პროცესი გვეხმარება:

- ეფექტურად გავანაწილოთ დრო, ძალისხმევა და რესურსები.
- გვაძლევს შესაძლებლობას, ფართო კონტექსტში შევხედოთ შესასწავლ საკითხებს.
- შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, თავიდან აიცილოს

მოსაწყენი და მონოტონური გაკვეთილები.

- აიოლებს მასწავლებლის შრომას.
- გვაძლევს შესაძლებლობას, წინასწარ დავგეგმოთ, გაკვეთილის რომელ მონაკვეთში რომელი აქტივობა გამოვიყენოთ.
- შევარჩიოთ აქტივობები, რომლებიც უპასუხებს ინტელექტის განსხვავებული ტიპის მქონე სტუდენტთა საჭიროებებს.
- ნათლად გამოგვეყოთ გაკვეთილის მიზნები და ამოცანები და მათი მიღწევის გზები.
- თავიდან ავიცილოთ პრობლემები.

- მასწავლებელს აძლევს თავდაჯერებულობას (<http://emilgen2011.hubpages.com/hub/The-Importance-of-Lesson-Plan>).

ზოგადად, კარგად გაწერილი გაკვეთილის გეგმა უნდა ასახავდეს, თუ რა ეცოდინებათ მოსწავლეებს გაკვეთილის დასრულების შემდეგ, რას შეისწავლიან (რას გააკეთებენ) ისეთს, რაც მანამდე არ იცოდნენ (ვერს აკეთებდნენ); როგორ შეუწყობს ხელს გაკვეთილი მათ პროგრესს კონკრეტული საკითხის შესწავლისას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ დაეხმარება მასწავლებელი ამ ყველაფრის მიღწევაში (მასწავლებლის როლი).

გაკვეთილის გეგმის შედგენისას, გარდა იმისა, რომ ყურადღებას ვამახვილებთ, თუ რაზე ვსაუბრობთ, როგორ ვსაუბრობთ და რა მასალებს ვიყენებთ, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ მოსალოდნელი სირთულეები და პრობლემები, რომლებიც შესაძლოა მოსწავლეებს გაუჩნდეთ და განვსაზღვროთ მათი გადაჭრის გზები.

გაკვეთილის გეგმა, საზოგადოდ, და მათ შორის უცხო / მეორე ენის გაკვეთილს გეგმა, შედგება შემდეგი ძირითადი პუნქტებისაგან:

- მიზნები / ამოცანები;
- შინაარსი;

- სამიზნე ჯგუფი: წინასწარი ცოდნა, ასაკი, ინტერესები, მოლოდინები;
- მიმდევრობა;
- ორგანიზება;
- გაკვეთილის / მასალის გავლისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა;
- მეთოდები და აქტივობები;
- სასწავლო მასალა;
- შესათავაზებელი დავალებები;
- სასწავლო რესურსები;
- შეფასება.

წარმოგიდგინთ კონკრეტული გაკვეთილის გეგმას, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ თქვენს პროფესიულ საქმიანობაში, როგორც ერთ-ერთი ნიმუში, მოდელი. შეგეცადეთ, სანიმუშოდ შეგვეჩიხა მასალა, რომელსაც ენის სწავლა / სწავლების დროს თითქმის არ ითვალისწინებენ და, შესაბამისად, სასწავლო მასალაც ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაკვეთილის გეგმაში შექმნის დაგვარად სრულადააა მოცემული შინაარსი, რომელიც მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს შემსწავლელებს.

თემა: საყიდლები (ჰიგიენური საშუალებები)

სამიზნე ჯგუფი: ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის შემსწავლელი (მე-10 – მე-12 კლასის მოსწავლეები).

მიზნები:

- მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვების დასმასა და პასუხებში;
- ლაპარაკისა და წერის უნარების განვითარებაზე მუშაობა;
- საყიდლებთან დაკავშირებული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა.

შედეგები:

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- კონტექსტში გამოიყენონ ჰიგიენის საშუალებებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: საპონი, შამპუნი, კბილის პასტა, სარეცხი ფხენილი, ჭურჭლის სარეცხი საშუალება და ა. შ.;
- შეკითხვების დასმა ფასის, მოხმარების ვადის შესახებ;
- კონსულტანტთან საუბრის შემდეგ ყიდვაზე დათანხმება ან უარის თქმა სათანადო

ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენებით;

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 3 აკადემიური საათი (150 წუთი)

საკლასო გარემო: ფლიპჩარტი, სიდიფლეიერი, დაფა, ცარცი, კალმები, ფურცლები.

გამოყენებული მეთოდები:

გონებრივი იერიში; როლური თამაში, კითხვებზე პასუხი, აუდიო-მასალა.

შეფასება:

უწყვეტად მიმდინარეობს მთელი გაკვეთილის განმავლობაში. მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს ინდივიდუალურადაც და ჯგუფურად შესრულებულ სამუშაოსაც. მასწავლებელი ინდივიდუალურად აძლევს შენიშვნებს და რჩევებს მოსწავლეებს, ხოლო ყოველი აქტივობის დასრულების შემდეგ ყურადღებას ამახვილებს როგორც მიღწეულ წარმატებებზე, ისე იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაც საჭიროა. გაკვეთილის ბოლოს სავალდებულოა ზოგადი შეფასება-ანალიზი, რომელშიც მოსწავლეების თვითშეფასებასაც ვუთმობთ ადგილს.

ძირითადი აქტივობები:

1. **მოთელვა:** ა) მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს ჯგუფს შეკითხვებს (მოსწავლეებს მოეთხოვებათ ზეპირი პასუხები).

- სად ყიდულობთ ჰიგიენურ საშუალებებს?
- საიდან იგებთ ინფორმაციას ახალი პროდუქციის შესახებ?
- მოგისმენიათ თუ არა ჰიგიენის საშუალებებთან დაკავშირებული რეკლამა? (5 წუთი).

ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის გზით გაიხსენონ ჰიგიენური საშუალებები, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ (5 წუთი).

2. **წერა, ლექსიკა:** მასწავლებელი უკეთებს ვიზუალურ მხარდაჭერას მოსწავლეებს ფოტოების საშუალებით და ერთად ქმნიან საქონლის სიას და წერენ ფლიპჩარტზე. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად წარმოთქვამენ სიტყვებს (10 წუთი).

3. **წერა:** მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად და ქმნიან საქონლის „კატალოგებს“ მასწავლებლის შეთავაზებული ფოტოებისა და ფლიპჩარტზე ჩამოწერილი სიტყვების მიხედვით. ასახელებენ ნივთებს, მიუთითებენ ფასს, მწარმოებელ ქვეყანას (წარმოსახვით).

ამის შემდეგ კი ჩამოწერენ იმ ნივთებს, რომელთა შექმნაც სურთ. მასწავლებელი მოძრაობს ჯგუფებს შორის და ეხმარება მოსწავლეებს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში (10 წუთი).

[დაახლოებითი სქემა: პირადი ჰიგიენის საშუალებები - თმის შამპუნი, თმის ბალზამი, ხელის საპონი, თხევადი საპონი, აბაზანის ქაფი, შხაპის გელი;

სახლის მოვლის საშუალებები - ჭურჭლის სარეცხი სითხე, აბაზანის საწმენდი სითხე (სპრეი), სამზარეულოს საწმენდი სითხე (სპრეი), შუშის საწმენდი სითხე (სპრეი), უნივერსალური სახეხი ფხენილი, უნივერსალური სახეხი კრემი, ავეჯის საწმენდი სითხე, იატაკის საწმენდი სითხე, სარეცხი საშუალებები, ხალიჩის საწმენდი სითხე;

სარეცხი საშუალებები - სარეცხი ფხენილი, თხევადი სარეცხი სითხე, სარეცხის დამარბილებელი;

საბავშვო ჰიგიენის საშუალებები - საბავშვო შამპუნი და საპონი, საბავშვო საპნის ფხენილი, თხევადი სარეცხი საშუალება].

4. სიტუაციის დემონსტრირება – ლაპარაკი

მასწავლებელი და ძლიერი მოსწავლე განასახიერებენ გამყიდველსა და მყიდველს. მასწავლებელს მოტანილი აქვს რეალური ნივთი (მაგალითად,

შამპუნი). მასწავლებელი სვამს კითხვებს, მაგალითად: „გაქვთ ასეთი შამპუნი მშრალი თმისათვის?“, „როდემდეა ამ ნივთის გამოყენების ვადა?“. „შეიძლება ამ ნივთის გადაცვლა ან დაბრუნება?“ და ა. შ. ამ მოდელების მიხედვით, მოსწავლეები თავად ქმნიან შეკითხვებს როლური თამაშის დროს (10 წუთი).

დემონსტრირების შემდეგ მასწავლებელი იმეორებს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც გამოიყენეს, ოღონდ გამოტოვებს რამდენიმე მნიშვნელოვან სიტყვას, რომლებსაც მოსწავლეები დაამატებენ (10 წუთი).

5. წერითი სავარჯიშო - კითხვები

მოსწავლეები დაწერენ 2-2 კითხვას იმ ლექსიკური და ფრაზოლოგიური ერთეულების გამოყენებით, რომლებიც გაკვეთილის წინა ნაწილში გაიარეს. მოსწავლეები კითხულობენ შეკითხვებს და მასწავლებელი წერს დაფაზე. მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად და ასწორებენ შეცდომებს დაფაზე ჩამოწერილი შეკითხვებიდან (10 წუთი).

[დაახლოებითი სქემა: - სად შეიძლება საპნის ნახვა?

- რომელ ჭურჭლის სარეცხ საშუალებას მირჩევთ ჭურჭლის სარეცხი მანქანისათვის?

- თქვენთან შესაძლებელია საქონლის გადაცვლა ან დაბრუნება?

- როდემდეა ვარგისი?
 - გამოყენების ვადა მითითებულია?
 - შენახვისა და გამოყენების ინსტრუქცია ახლავს?]

6. პრაქტიკაში გამოყენება

მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ასრულებენ როლურ თამაშს (რომელიც უკვე განახორციელეს მასწავლებელმა და საუკეთესო მოსწავლემ) შესწავლილი ლექსიკური და ფრაზოლოგიური ერთეულების გამოყენებით. ისინი ვარჯიშობენ კითხვების დასმასა და პასუხების გაცემაში ნივთების რაოდენობასა (მოცულობასა) და დაბრუნება / გადაცვლის შესახებ. თითოეული მოსწავლე ასრულებს გამყიდველისა და მყიდველის როლს. მასწავლებელი მოძრაობს მოსწავლეებს შორის, უსმენს მათ საუბარს და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მითითებებს.

როდესაც წყვილები დაასრულებენ მუშაობას, ისინი სხვა მოსწავლეების წინ აკეთებენ თავიანთი როლების დემონსტრირებას (30 წუთი).

დიალოგის სავარაუდო სქემა:

გამყიდველი / სუპერმარკეტის ასისტენტი: - გამარჯობათ. რით დაგეხმაროთ?

მომხმარებელი / მყიდველი:

- დიდი მადლობა. შამპუნის ყიდვა მინდა.

გ: როგორი თმისთვის?
 მ: ნორმალური თმისთვის. გაქვთ?
 გ: რა თქმა უნდა. რამდენიმე სახისას შემოგთავაზებთ.
 მ: დიდი მადლობა. შეგიძლიათ მაჩვენოთ?
 გ: რა თქმა უნდა. მეორე რიგში, მეორე თაროზე აწყვია. წამომყევით. ამას ხომ არ აიღებდით?
 მ: არა, მადლობთ, ეს უკვე მქონდა და ჩემს თმას არ მოუხდა.
 გ: მაშინ “ელსევს“ გირჩევთ. ძალიან ეფექტურია.
 მ: დიდი მადლობა. როდემდე აქვს გამოყენების ვადა?
 გ: ერთი წუთით, ახლავე შევამოწმებ. 2013 წლის დეკემბრამდე.
 მ: ძალიან კარგი. უფრო დიდი ზომის ბოთლებში ხომ არ გექნებათ?
 გ: ახლავე შევამოწმებ. დიახ, გვაქვს. დიდ ბოთლში გნებავთ?
 მ: დიახ, დიდს ავიღებ.
 გ: სალაროშო უნდა გადაიხადოთ. თუ ჩეკს წარმოადგენთ, 1 კვირის

განმავლობაში დაბრუნებაც და გადაცვლაც შეგიძლიათ.
 მ: დიდი მადლობა.
 გ: მადლობა თქვენ. კიდევ მიბრძანდით.

7. მოსმენა: აუდიოჩანაწერი ჰიგიენური საშუალებების შესახებ (იხ. სიდიზე ან ელექტრონულ მისამართზე: http://www.ice.ge/web/78/_1.html) (5 წუთი).

მოსწავლეები მასწავლებელს კარნახობენ მოსმენილი მასალიდან მათთვის უცხო ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. მასწავლებელი ჩამოწერს მათ ფლიპჩარტზე (5 წუთი).

სავარჯიშოები მოსმენილის გაგების შესამოწმებლად:

1. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხები:

- თქვენ რომელ კბილის პასტას იყენებთ?	- „სენსოდინს“
- კმაყოფილი ხართ?	- სად უნდა გადავიხადო ფული? ეს ჯაგრისი დრეკადია, კარგად წმენდს კბილებს ყველა მხრიდან, ამიტომ კმაყოფილი ვარ.
- „ქოლგეითი“ არ გაქვთ?	- კი, კმაყოფილი ვარ.
- კბილის ჯაგრისიც ხომ არ გნებავთ?	- დიახ, თუ შეიძლება, შემიჩნიეთ, ჩემი კბილის ჯაგრისი უკვე გამოსაცვლელია.
- რით განსხვავდება სხვა ჯაგრისებისაგან?	- სალაროსთან მიბრძანდით.
- სად უნდა გადავიხადო ფული?	- კი, როგორ არა, ის მოთეთრო პასტაა ღურჯი ზოლებით.

2. შეარჩიეთ და ჩასვით სათანადო სიტყვა

გამოსაცვლელია;	გნებავთ;	გრილია;	დამეხმარეთ;
მათეთრებელ;	მოტკბო;	პასტის;	სამკურნალო;
სარგებლობთ;	ჯაგრისიც		

–გამარჯობა, თუ შეიძლება,

.....!

–გისმენთ, რა..... ?

–კბილის..... შერჩევა

მინდა, არ ვიცი, რომელი

ავიღო.

–მადლობა თქვენ, რომ ჩვენი

მომსახურებით

..... (15 წუთი)

–..... გნებავთ თუ

მათეთრებელი?

–მე ვიყენებ კბილების

.....სენსოდინს“.

–„ქოლგეიტს“:

გემო აქვს. არა?

–არა, მოტკბო გემო არ აქვს,

პირიქით,

–კბილის ხომ

არ გნებავთ?

–დიახ, თუ შეიძლება

შემირჩიეთ, ჩემი კბილის

ჯაგრისი უკვე

8. გრამატიკა:

მასწავლებელი უხსნის გრამატიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც შეიცავს თხოვნასა და შეკითხვას. კონსტრუქციებში გააქტიურებულია ზმნური ფორმები და ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესასწავლ თემასთან არის დაკავშირებული.

თხოვნა შეკითხვა

<p>თუ შეიძლება</p>	<p>აიღეთ მომავლით მომავლით მითხარით ბაზარქვეთ</p>	<p>შეიძლება _____ შეიძლება (// შეიძლება) _____ შეიძლება</p>	<p>ავიღო? დავაბრუნო? ბადავცვალო? ბადავინახო? მომცემთ? მომავლით? მითხრათ? _____ ამიხსნათ? ბავაბრქველო? ბადავინახო? შევიპინო? ვიყიდო?</p>
------------------------	---	---	---

1. თუ შეიძლება, _____ , ხურდა, თქვენია. (აიღეთ, აიღოთ)
2. შეგიძლიათ, _____ შამპუნნი? (მომავლით, მომავლით)
3. შეიძლება _____ ? ბარათით (გადაიხადეთ, გადავიხადო)
4. თუ შეიძლება, _____, სად შეიძლება ბავშვის შამპუნის ნახვა? (მითხრათ, მითხარით)
5. შეგიძლიათ, _____, სად აწერია მოხმარების ვადა? (მაჩვენოთ, მაჩვენეთ)
6. თუ შეიძლება, _____ ორი შეკვრა სარეცხის ფხვნილი! (მომეცით, მომცეთ)
7. შეიძლება _____ ეს ჭურჭლის სარეცხი სითხე? (აიღეთ, ავიღო)

8. შეგიძლიათ, _____ როდის არის გამოშვებული ეს თმის ბალზამი? (მითხრათ, მითხარით)
9. შეიძლება _____ სარეცხი ფხვნილი? (მომავლით, მომავლით)
10. თუ შეიძლება, _____ წარწერა, როდემდეა ვარგისი? (მაჩვენეთ, მაჩვენოთ) (25 წუთი); (მასალა ადაპტირებულია ნ. შარაშენიძის წიგნიდან „მიდამო“).

9. გაკვეთილის შეჯამება, შეფასება და უკუკავშირი - 10 წუთი.

გაკვეთილის შემაჯამებელ ნაწილში მასწავლებელი ეკითხება სტუდენტებს, რა იყო მათთვის განვლილ მასალაში სირთულე და ასეთის არსებობის შემთხვევაში მოკლედ უბრუნდება მას. სთხოვს

მოსწავლეებს, მოიფიქრონ, ამ საკითხთან დაკავშირებით რის გავლას ისურვებდნენ დამატებით. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად განსაზღვრავენ კლასის პროგრესს.

შენიშვნა: გაკვეთილის გეგმამ, შესაძლოა, გარკვეული კორექტირება განიცადოს სტუდენტების საჭიროებების და მიხედვით. შესაძლოა მინიმალური ცვლილებების შეტანა დროის განაწილებასა და აქტივობების მიმდევრობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (<http://emilgen2011.hubpages.com/hub/The-Importance-of-Lesson-Plan>)
2. http://www.ice.ge/web/78/_1.html
3. ნინო შარაშენიძე, „მიდამო“, თბილისი, 2010, გამომცემლობა „საიმედო“

Ketevan Gochitashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Main Principles of Planning Georgian as a Second/Foreign Lesson

ABSTRACT

It is General truth, that lesson plan, generally and second/foreign lesson plan particularly is a key to successful learnin process. In this paper there are described activities which should be presented in the lesson plan. Extended lesson plan (content, assignments and other materilas are included) could be used as a tamplate for Georgian Foreign/Second Language lesson planning.